სამშობლო დიდის შუქით, არ გაიცვლების სწავლა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
23
მაისი
№61 (10454)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების წინ

## ჩვენი ძალა ჩვენს სიმართლეშია

არის მოვლენები, რომელთა მნიშვნელობას დრო ისტორიული შინაარსით მოსავს. ისინი იქცევიან იმ მაღალ ნიშანსვეტებად რომელმაც უნდა გაუკვალოს ხალხს გზა უკეთესი მომავლისაკენ.

ერთერთი ასეთი ნიშანსვეტია რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები, რომელიც პირველად ტარდება ასე დემოკრატიულად, ალტერნატიული პრინციპით. მართალია არჩევნებისწინა სამზადისს მძაფრი ვნებათა-ღელვა, შეხედულებათა, პოზიციათა დაპირისპირება ახლავს თან, მაგრამ არც ამაში უნდა დავინახოთ რაღაც უჩვეულო, საგანგაშო. ცივილიზებულ ქვეყნებში ანალოგიურ პროცესებს წვავე დებატები, ათასნაირი ექსცესებიც სდევს თან. დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მრავალწლიან პრაქტიკას ასეთი ატრიბუტები სჩვევია. ჩვენც ეს გზა უნდა გავიაროთ, რამეთუ ქართველი კაცის ისტორიული გამოცდილებისა და გონის მხოლოდ ამ მიმართულებით წარმართვა მიგვიყვანს საზოგადოების სრულყოფამდე.

მიუხედავად ზემოთქმულისა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არჩევნები მაღალორგანიზებულად, ზედმეტი ექსცესების გარეშე ჩატარდება და ხალხი ღირსეულთა შორის ღირსეულს აირჩევს. ეს ისტორიული ჟამი უმკაცრეს გამოცდას უწყობს რესპუბლიკის თითოეულ მოქალაქეს, მის შინაგან ალღოს, ცნობიერებისა და ზნეობის დონეს. ყოველი ჩვენგანის მიერ გაკეთებულ არჩევანში ჩვენივე მორალური სახე, მიმდინარე პროცესებისადმი დამოკიდებულება იკვეთება. ამ თვალთახედვით მომავალი თაობების წინაშეც ვხდებით ანგარიშვალდებულნი.

რა გვევალება ამ ეტაპზე ამომრჩევლებს? ამ რიტორიკულ კითხვას ასე ვუპასუხებთ: უპირველეს ყოვლისა, თავი ჩავთვალოთ თავისუფლების მოყვარე საქართველოს ერთგულ ჯარისკაცებად, სულიერი და ფიზიკური ძალების მაქსიმალური გაღებით ვემსახუროთ მამულის აღორძინებას.

ჩვენს გარეშეო, რომ იტყვიან, სკასავით ზუზუნებს უთვალავი პრობლემა, საზრუნავი, დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა შევმჭიდროვდეთ, მტკიცედ დავირაზმოთ ეროვნული მთავრობის გარშემო. დღეს, როგორც არასდროს, საშიშია გარეშე მტერი, რომელიც შინა ორგულთან და ქვეყანამხედვართან არცთუ ისე იშვიათად ელტვის ალიანსს. ამიტომაც გვმართებს სიფხიზლე და ორგანიზებულობა, ურთიერთ ნდობა და ერთსულოვნება.

გვწამს, მიმდინარე წელი იქნება დიდი, თავდადებული შრომის ისტორიული გარდატეხის, ფიზიკურ და გონებრივ ძალთა მობილიზების წელი. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ჩვენს მართალ საქმეს, დამოუკიდებლობისაკენ ხალხის ძლევამოსილ სვლას.

## ერთსულოვნად მივცემთ ხმას

სვანეთის ქუჩის მცხოვრებლები სამშობლოს ნაღდი გულშემატკივრები არიან და ყოველთვის ცდილობენ გააკეთონ ის, რაც მამულს სახვალიოდ წაადგება.

26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. ქართველმა ერმა სიმბოლურად სწორედ ამ დღეს უნდა აირჩიოს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი. სვანეთის ქუჩის მცხოვრებლები ერთსულოვნად მივცემთ ხმას პრეზიდენტობის ღირსეულ კანდიდატს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

მ. გუცხრიკიძე,
სვანეთის ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე.

## ფიცი მწამს...

კმაყოფილებით მოვისმინეთ ტელევიზორში გაშუქებული ცნობა ონში კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის გაუქმების შესახებ. თქვენი არ ვიცი, პატივცემულო მკითხველო და მე ცოტა არ იყოს შემშურდა დიდი რაჭველების ასეთი ოპერატიულობა—მთელ რესპუბლიკაში (და კავშირშიც კი) პირველებს ექქვათ კომუნისტური პარტიისათვის უარი რაიონის მასშტაბით, საქართველო ყველასათვის საფიცარია. ჩემი უპირველესი საფიქრალიც მისი ხვალინდელი დღეა, მაგრამ ვაღიაროთ, ყველას ის ურჩევნია რომ ყოველივე კარგი პირველად ჩვენს მშობლიურ ქალაქსა თუ სოფელში მოხდეს! ასე დამემართა მეც: ონიც ჩემია, მაგრამ მაინც, მსურდა ზუგდიდი ყოფილიყო პირველი! ძალიან გთხოვთ, სწორად გამიგოთ და ნუ გამამტყუნებთ... არა, ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი ქალაქიც მალე მიბაძავს ონს (მით უმეტეს, იყო ამის სურვილი გაცილებით ადრე) და ალბათ, სხვებიც მიჰყვებიან, მაგრამ... ალბათ, სწორედ ამას მიხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და სასწრაფოდ აცნობა მთელ საქართველოს (გაზეთი „ცხოვრება" № 28, 1991 წ) ონმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რისი უფლებაც საქართველოს კომპარტიის წესდების მიხედვით აქვს მხოლოდ პარტიულ კონფერენციას, ყრილობასო" (შეადარეთ სსრკ კონსტიტუციას:— საბჭოთა კავშირში შემავალ ყოველ „სუვერენულ" რესპუბლიკას აქვს კავშირიდან „თავისუფალი" გასვლის უფლება, თუ... თხუთმეტივე რესპუბლიკა იქნება თანახმა და ამავე დროს რამდენიმეჯერ ჩატარდება რეფერენდუმი, მთელ კავშირში !!!

რაიონული და საქალაქო კომიტეტებო, ტყუილად ნუ შეწუხდებით, სანამ კონფერენცია ან ყრილობა არ გადაწყვეტს თქვენს გაუქმებას, სულ ერთია, მაინც ვერსად ვერ წახვალთ, კომუნისტური პარტია ჯაჭვით დაგაბამთ და იქნებით მის რიგებში. ცენტრალური კომიტეტი ამის გარდა ონის რაიონულ კომიტეტს ბრალად სდებს გათიშვას... თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და პირადად ჩემთვის, გაუგებარია, კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის გაუქმება რატომ უნდა ნიშნავდეს გათიშვას! მე, რატომღაც მგონია, ონის რაიონულმა კომიტეტმა სწორედ შექმნილ სიტუაციაში ერთიანობისათვის გადადგა ასეთი ნაბიჯი. იყო წინააღმდეგობები? —გვჯერა, იქნებოდა! კომუნისტური რეჟიმის ქვეშ გაზრდილისათვის ადვილი დასაძლევი არ გახლავთ ის შიში, რაც მათ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი:—უფროს და საშუალო თაობას გვახსოვს მეგობართან საუბრის შიში, დრო, როდესაც არ ვიცოდით ვისთვის რა გვეთქვა, ან ჩვენს ნათქვამს ვინ როგორ გაიგებდა და ვის სად დაგვასმენდნენ, შიში იმისა, მეორე დღე მშვიდობით გათენდებოდა თუ არა!—ასეთ პირობებში გაზრდილი კაცი მონაა! თავისუფლებას ისევ ის მონობა ურჩევნია, მას მხოლოდ კუჭი ჰქონდეს სავსე, სხვა საზრუნავი არ გააჩნია და არც ექნება!—აი, სწორედ, ამისთანებისაგან ექნებოდა ონის რაიონულ კომიტეტს წინააღმდეგობა, ასეთები კი, ალბათ საბედნიეროდ, ერთეულები იქნებოდნენ და თუ რაიონში უმრავლესობას სურდა კომპარტიის კომიტეტის გაუქმება, უნდა გაუქმებულიყო კიდეც. ხოლო მასში დარჩენის მსურველებს შეუძლიათ დარჩნენ პარტიაში, შექმნან ცალკე ჯგუფი, ორგანიზაცია და საწევრო გადაუხადონ პირდაპირ ცენტრალურ კომიტეტს, რა საჭიროა ამისათვის რაიონული კომიტეტი?

დიახ, ონის რაიონული კომიტეტის ნაბიჯს უნდა მიეცეს სათანადო შეფასება, მაგრამ არა ისეთი, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სურს..

ჩვენ კი.. სიფხიზლე გვმართებს! ე, მანდ, არავინ მოგვატყუოს ტკბილი პლატფორმებით, უნებლიე შეცდომების, გაქცეული სიტყვის თითზე დახვევით:— შეხედეთ, ახალი მთავრობა ვერაფერს აკეთებს, ჩვენ რომ ვიყოთ საქართველოს ავაყვავებთო! არა, ბატონებო, სრული სიყალბეა ამ ქადილში,—აბა, ჯერ რა უნდა მოესწრო ახალ მთავრობას, მაგრამ რაც მოასწრო?!—მოდით, გავიაზროთ რაც მოხდა,—ფაქტიურად გადაატრიალა მთელი სახელმწიფო, აქამდე, რომ არავინ იცოდა საქართველოს არსებობაც კი, დღეს მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, დაანგრია მთელი ძველი სტრუქტურები, ფაქტიურად, უკვე ახალი სახელმწიფოს შენებას შეუდგა...

...ფუსუს! სხვა ქვეყნებში თუ პრეზიდენტის ადგილს ორი-სამი ადამიანი ეცილება ერთმანეთს: ამ პატარა საქართველოში შეხედეთ რამდენი საპრეზიდენტო კაცი გვყოლია, თანაც ისეთებიც კი, ვინც თვით ჩვენ არ გვენდობა (?!), მოსკოვი კი მათ დაცვას სიამოვნებით კისრულობს !!..

ცოტა ხნის წინათ კი მორცხვად აცხადებდნენ: —საქართველოში საპრეზიდენტო კაცი არ გვეგულება!!! სულ ტყუილი გამოდგა ასეთი განცხადება, თურმე ყოველ მათგანს საკუთარი თავი მიაჩნდა პრეზიდენტად,—არადა მშვენივრად იცოდნენ პრიორიტეტი ვისაც ეკუთვნოდა, ხალხი ვისაც აირჩევდა. ხალხი ბრძენია, ის თვითონ დაინახავს ყველას ღირსებას შეცდომას, და იმასაც განსაზღვრავს 26 მაისს ვის მისცეს ხმა... გჯეროდეთ, ბატონებო, ხალხი აუცილებლად თავის ღირსეულ პრეზიდენტს აირჩევს.

ხალხი არ შემცდარა 28 ოქტომბერს, არც 31 მარტს და მითუმეტეს ახლა უდიდესი გამოცდილება აქვს ღირსეულის შერჩევისა.

... კაცმა რომ თქვას, სირცხვილიც კია, როცა ერის გადარჩენის საკითხი დგას, სოციალურით ვაჭრობა, ხალხის შეცდომაში შეყვანის მცდელობა და ასე სკამისთვის ბრძოლა, მაგრამ...

...შადიმანებს საქართველოს რა გამოულევს...

ალბინა გაბნიძე

ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს წევრი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ სტიქიით დაზარალებულთა ფონდში.

აქტუალური ინტერვიუ

# გამოსავალი მშენებლობის დაჩქარებაშია

მოსახლეობის ტელეფონიზაციის საკითხი ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში. ტელეფონის დადგმის მომლოდინე მოქალაქეები სწუხან, ჩივიან, გამოთქვამენ ზეპირ თუ წერილობით უკმაყოფილებას, და ეს [illegible] წლიდან წლამდე. ტელეფონიზაციის პრობლემებზე ყურადღება გამახვილდა ახლახან თავისუფლების მოედანზე გამართულ ხალხმრავალ საინფორმაციო მიტინგზეც, რომელიც ზუგდიდის პრეფექტურამ მოაწყო. ამასთან დაკავშირებით დღეს გთავაზობთ ინტერვიუს კავშირგაბმულობის ზუგდიდის კვანძის უფროსთან ალექსანდრე გობიასთან.

—ბატონო ალექსანდრე, რატომ ვერ აკმაყოფილებს ტელეფონის დადგმის მსურველებს კავშირგაბმულობის კვანძი?

—მოგახსენებთ. ქალაქ ზუგდიდში ამჟამად მოქმედებს 6000 ნომრიანი ავტომატური ტელეფონების სადგური, რომელიც დამონტაჟდა და სრული დატვირთვით ამოქმედდა 1983-1985 წლებში. მას შემდეგ ჩვენი ატს-ი არანაირად არ გაფართოებულა, ხოლო ცხოვრება წინ მიდის, შესაბამისად დღითი-დღე უმატებს რიგში მყოფ აბონენტთა რიცხვსაც... მართალია, ცალკეულ შემთხვევაში ხდებოდა ტელეფონის დადგმა, მაგრამ ეს კეთდებოდა არსებული ატს-ისა და ადრე გამონთავისუფლებული ტელეფონების ხარჯზე. ამჟამად სადგურში არც ერთი თავისუფალი ნომერი არ არის, რაც მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს არ სჯერა და საჩივრებით მოგვმართავენ როგორც ჩვენ, ასევე სხვადასხვა ინსტანციებს...

—მაშ, სად არის გამოსავალი. რას გვპირდება ხვალინდელი დღე?

—გამოსავალი ნაპოვნია, პერსპექტივაც სრულიად რეალური გახლავთ. კერძოდ, ზუგდიდში დაგეგმილია უახლესი ტიპის 10 ათას ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგურის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 2 მილიონ 208 ათასი მანეთი. უკვე მივიღეთ დასამონტაჟებელი დანადგარ-მოწყობილობა. მშენებლობას აწარმოებენ ლენინგრადელი სპეციალისტები, რომლებსაც გასაგები მიზეზების გამო დააგვიანდათ ჩამოსვლა... ახალი ატს-ის ამოქმედების შემდეგ რიგში მყოფი ყველა აბონენტი დაკმაყოფილდება. ვცდილობთ, რომ ეს შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს.

დღეისათვის რამდენი მოქალაქეა რიგში და როგორ მოხდება რიგითობის დაცვა ნომრების განაწილებისას?

—უკანასკნელი მონაცემებით აღრიცხვაზე აყვანილია 3 ათასზე მეტი აბონენტი. ესე იგი, ჩვენ მათ მთლიანად დავაკმაყოფილებთ, მაგრამ ეს ერთ დღეში ყოვლად შეუძლებელია. საჭირო იქნება რიგითობის დაცვა წესდების მიხედვით. საამისოდ ქალაქი დაყოფილია 300-მდე მიკროუბნად. შეუძლებელია, ფაქტობრივად, ყველა უბანში ერთდროულად დაიწყოს ტელეფონების დამონტაჟება. არადა, სწორედ უბნების მიხედვით განხორციელდება რიგითობა, რამაც შეიძლება უკმაყოფილება გამოიწვიოს. პირველად იმ უბნის აბონენტები დაკმაყოფილდებიან, სადაც სახაზო მეურნეობა ადრე გაყვანილი იყო. ასეთ შემთხვევაში უბნის ყველა აბონენტს დაედგმება ტელეფონი, მიუხედავად იმისა, მარშან შემოიტანეს განცხადება თუ მარშანწინ. სახაზო მეურნეობის არმქონე უბნებში მცხოვრებნი, მიუხედავად ტელეფონის დადგმაზე განაცხადის ხანგრძლივობისა, ტელეფონის ნომრებს ვერ მიიღებენ უბნის მთლიანი მონტაჟის დამთავრებამდე. ცნობისათვის განვმარტავ, რომ ამჟამად დაზუსტებულია რიგითობა მიკროუბნების მიხედვით და ნებისმიერ აბონენტს შეუძლია მობრძანდეს კვანძის სააბონენტო განყოფილებაში თავისი რიგითობის ნომრის გასარკვევად.

—როგორ განხორციელდება, ვთქვათ, მიკროუბნის „შიგნით" ტელეფონების განაწილება?

—კიდევ ერთხელ დავაზუსტებ: ტელეფონების დადგმა ძირითადად ხორციელდება შემოტანილი განცხადების რიგის მიხედვით. მაგრამ გარკვეული კატეგორიის აბონენტები სარგებლობენ ტელეფონის რიგგარეშე დადგმის უპირატესობით. კერძოდ, ამ შეღავათით სარგებლობენ (შემდეგი თანმიმდევრობით): პირველი ჯგუფის ინვალიდები, ომის მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდები, ჩერნობილის ავარიის შედეგად დაზიანებულნი, უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ომის მონაწილენი, კავშირგაბმულობის სისტემის ვეტერანი თანამშრომლები, სამართალდამცავ ორგანოთა ოპერატიული მუშაკები და სხვა პირები მთავრობის დადგენილებით. აღნიშნულ მოქალაქეთა გარდა გამონაკლისის სახით რიგგარეშე ტელეფონის დადგმაზე გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს კავშირგაბმულობის კვანძის ხელმძღვანელობამ ქალაქის ადგილობრივ მმართველობასთან შეთანხმებით. ვფიქრობთ, დანარჩენი მოქალაქეები კმაყოფილდებიან რიგის მიხედვით. აქვე აღვნიშნავთ, რომ წესდებაში არის დამატება-სიახლე: მოქალაქეებს, რომლებიც მუშაობენ და სარგებლობენ საკუთარივ სასამსახურო ტელეფონით, ორგანიზაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უფლება აქვთ ტექნიკური შესაძლებლობის შემთხვევაში გააფორმონ პარალელური ტელეფონი ბინაში.

ერთი რამ ცხადია, უნდა დაჩქარდეს ახალი ავტომატური ტელეფონების სადგურის მშენებლობა. ქვეყნის საერთო სიტუაცია, ობიექტური თუ სუბიექტური ხელისშემშლელი მიზეზები არცთუ იშვიათად გვახსენებს თავს, მაგრამ ჩვენი უპირველესი მოვალეობაა უკიდურესი ძალისხმევით შევძლოთ ქალაქის ტელეფონიზაციის პრობლემის მოგვარება შემჭიდროებულ ვადებში.

ესაუბრა ჯამბულ არქანია.

# გმადლობთ, მასწავლებელო!

ოთხი წლის წინ მე-15 საშუალო სკოლაში მოვიდა დაწყებითი კლასების ახალი მასწავლებელი—მაია ჯაბუა. იმ წელს ჩვენი შვილები პირველად ბიჯს ხდნენ სკოლის მერხებს. ძალიან გვინდოდა კარგი პედაგოგი გვყოლოდათ, რადგან ცოდნას, პიროვნების ჩამოყალიბებას საფუძველი აქედან ეყრება.

მაია მასწავლებელი სიმპათიური გარეგნობის, გემოვნებით ჩაცმული, განათლებული და სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა. ურთიერთობა მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის უშუალოდ და საინტერესოდ დაიწყო. ყოველი გაკვეთილი მათთვის დღესასწაულად იქცა.

მაიამ შესძლო ბავშვებისათვის სიკეთისა და ერთგულების, სწავლისა და შრომის, განათლების ფასი ესწავლებინა. იგი ხაოცრად შრომისმოყვარე, პროფესიის უსაზღვროდ ერთგული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნებაა. მისი დაუღალავი შრომის წყალობით დღეს მე-4 (ბ) კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად ფლობს მათემატიკას, ისწავლეს დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნება, ჩამოუყალიბდათ მტკიცე ეროვნული თვითშეგნება, ერკვევიან რელიგიის ისტორიის საკითხებში, სისტემატურად აწყობენ ნამუშევართა გამოფენებს.

სკოლაში ხშირად გაიგონებთ; მაია ჯაბუას კლასი ყველაზე ძლიერია, მაიას ბავშვები ბრწყინვალედ წერენ თავისუფალ თემებს, და ა. შ.

წელს ჩვენი შვილები ემშვიდობებიან მაია მასწავლებელს, ისინი მე-5 კლასში გადავიდნენ. ვიცით, ეს დამშვიდობება სევდანარევი იქნება, ისე შეჩვეულები და შეყვარებულები არიან ბავშვები მასწავლებელზე.

მე-4 (ბ), კლასის მოსწავლეთა. მშობლები მადლიერების გრძნობითა და პატივისცემით გემშვიდობებით ჩვენი შვილების საყვარელო მასწავლებელო, უღრმეს მადლობას გიხდით მათზე გაწეული ამაგისათვის. ამასთან ერთად ვსარგებლობთ შემთხვევით და ჩვენს შვილებთან ერთად გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით მე-15 საშუალო სკოლის მე-4 (ბ) კლასის მოსწავლეთა მშობლები.

აკაკი წერეთელი — 150

# „ჩემი ხატია სამშობლო"

დიდი მგოსნისა და სახელოვანი მამულიშვილის აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო განწყობილებაა სკოლებში.

ამ დღეებში ქ. ზუგდიდის № 2 საშუალო სკოლაში ჩატარდა პოეტის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია: „ჩემი ხატია სამშობლო", რომელიც მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლ. ახალაიამ.

მოსწავლეებმა წაიკითხეს აკაკის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები, წარმოადგინეს ინსცენირება პოეტის ისტორიული ხასიათის თხზულებებიდან. შესრულდა მგოსნის ლექსებზე შექმნილი სიმღერები.

ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა: ნინო მიქაძემ, თამუნა ცხონდიამ, ლელა ქებურიამ, ზაზა და ოთარ ჰანტურიებმა, სერგო ხორავამ, რეზო კაკულიამ და სხვებმა.

# ფასი უნდა დაედოს

ქართველ კაცს ბევრი სიკეთე და მადლი უბოძა განგებამ მაგრამ იმავდროულად ჭირვარამით, ფათერაკებით აღსავსე ისტორიული გზა არგუნა. მოდის, მოდევს ათადან და ბაბადან ჩემი შორეული წინაპრის გენი და ფიქრი, შრომით წვა-დაგვით, ჭირთა გამძლეობის უტეხი ნებით, მომავლის იმედით მოარღვევს ძნელბედობით გასენილი საუკუნეების ტევრს. და ამ გარჯა-ფუსფუსში, ცხოვრებისეულ სიძნელეებთან [illegible]ლში ქართველი კაცის განუყრელ თვისებას წარმოადგენდა პატიოსნება, საკუთარი ღირსების გრძნობა. ამ განცდაზე იყო აგებული მისი შინაგანი მრწამსი, არსებობის ფორმა, ზნეობრივი ორიენტირი. ქართველი კაცი და სინდისნამუსი სინონიმებად აღიქმებოდა.

ჩვენი ხალხის ისტორიამ იცის პერიოდები, როცა სათნოება და სიკეთე უკანა პლანზე იწევდა. შინა თუ გარეული მტრის მძლავრობით აღზევდებოდა ხოლმე სიცრუე და ამპარტავნობა, თვალთმაქცობა, ღალატი, ორგულობა, სიხარბე და სხვა წვრილმანი ვნებები. ამ მხრივ ყველას და ყველაფერს გადააჭარბა კომუნისტური ერთმმართველობის უსასტიკესმა რეჟიმმა საქართველოში. შიშისა და უხასოობის განწყობილებამ, არაბუნებრივმა, ხელოვნურად შეკოწიწებულმა სტრუქტურებმა დაათრგუნა სოციალური ყოფა, ეკონომიკა, დაამახინჯა ადამიანთა სული, ცნობიერება, ყალბ ურთიერთობებს, [illegible]ვენებით ფასეულობათა გაბატონებას მოჰყვა ზნეობის რღვევა. ქართველი კაცი აცდა სულიერი განვითარების ტრადიციულ გზას. ცხოვრების ნორმად იქცა მამებლობა, ქრთამი, საეჭვო გარიგებები, პროტექცია და ა. შ. ასეთ პირობებში გაუჭირდა სასურველი არც შეეძლო ნამუსიან კაცს, ვისაც სხვაზე უკეთ შეეძლო აზროვნება და შრომა.

ამ საშინელ ანომალიებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მასზე ბევრჯერ თქმულა. ახლა სხვა საზრუნავი წვავს ყოველი ჩვენგანის გულს. ისტორიული საქმე განხორციელდა. თავზე ძალად მოხვეული პოლიტიკური რეჟიმი დავამხეთ. მაგრამ ხვალ როგორ ვიცხოვროთ? დიქტატორული სახელმწიფოს მიერ დატოვებულ ანარქიას, მოშლილ-გავერანებულ სახალხო მეურნეობას პატრონობა რომ გაუწიო, არც თუ ისე იოლი საქმეა. სწორედ ამ პირობებით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა. ჩავარდნილ საქმეს მხოლოდ უნარიანი, კომპეტენტური, მამულის მოყვარული კაცი ამოსწევს. და რაც მთავარია, თავის უფლებებში უნდა აღდგეს წესიერი, პატიოსანი კაცის სახელი. თაღლითობამ, სიყალბემ, თვალთმაქცობამ რა სიკეთეც მოგვიტანა, ყველანი ვხედავთ. მომავალში უნდა ავაშენოთ მაღალზნეობრივი საზოგადოება, ისეთი ყოფა, სადაც უნარიანი და გამრჯე კაცი სულს მოითქვამს, თავაწეული ივლის. უნდა დავამკვიდროთ ისეთი დრო, როცა ტერმინ „საქმოსანს" შეცვლის საქმიანი კაცის ფენომენი, კომბინაციას—კომერცია. ნებისმიერ საქმეში შუამავლად მოგვევლინება ადამიანური ღირსება, პირის გაუტეხლობა, ურთიერთ ნდობა.

ღრმად მჯერა, რომ ამ გზით მიჰყავს საქართველოს ეროვნულ მთავრობას ჩვენი ხალხი. მხოლოდ ეს გზა აალორძინებს ნაწამებ ქვეყანას.

ვ. ჟვანგელია
ჩვენი კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაი — ჩვენი ეროვნული სიმდიდრე!

# დღეს მთავარია ხარისხი

№1 ჩაის ფაბრიკამ, ნახევარი საუკუნე მიითვალა. აქ გამოშვებულ პროდუქციაზე იშვიათად თუ მიუღიათ რეკლამაცია. სეზონებს შორის განსხვავებული სეზონი დაუდგა წელს კოლექტივს. აქ დიდი და პატარა დაინტერესებულია ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით, რამე თუ ქართულმა ჩაიმ პირველად უნდა ჩააბაროს გამოცდა და (ნაგულისხმევია სხვა ქვეყნების მაღალი ხარისხის პროდუქციით გამდიდრება) ის უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო არენაზე.

ამ დაინტერესებას კონვეიერული თანმიმდევრობა გააჩნია. მინდორი, ტრანსპორტი და მრეწველობა. ამიტომაც შევხვდით მათ წარმომადგენლებს ჩაის ფაბრიკის მიმღებ პუნქტში, სადაც მონაცვლეობით მუშაობენ თეთრხალათიანი ლაბორანტები: ნონა ჩქოფოია, თინა კალანდია, ნანული აკობია. პუნქტის გამგე არჩილ რაფავა ნედლეულის აწონვისა და საანალიზოს მიღების შემდეგ გასცემს ქვითარს, სადაც აღნიშნულია ნეტო წონა, სინესტის დაქვითვის რაოდენობა და ხუფთა წონა ხარისხის მიხედვით. ასეა ყოველდღე სეზონის დაწყებიდან, 8 მაისიდან. ფაბრიკას ნედლეულს აბარებენ: ოდიშის, კორცხელის, კოლხიდის, ქითაწყარის, ახალსოფლის კოლმეურნეობები.

სეზონის მეკვლე გახლდათ ოდიშის კოლმეურნეობა. 8 მაისს ფაბრიკამ მიიღო პირველი ტონები. შემდგომ დღეებში გრაფიკის მიხედვით მიიტანეს ნედლეული ქითაწყარის, კორცხელის, კოლხიდის, ახალსოფლის კოლმეურნეობებმა. დღემდე ფაბრიკამ მიიღო და გადაამუშავა 102,6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, საიდანაც 60 ტონა იყო პირველი ხარისხის, 40 ტონა მეორე ხარისხის.

კვირა დღეა. ამ დღეს ჩვეულებრივ ისვენებენ მშრომელები, მაგრამ მეჩაიეთათვის საშურია ყოველი დღე და საათი, მათ წელს ისედაც მოგვიანებით დაიწყეს კრეფა. უნდა მოასწრონ პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა, თუ არადა გადაუხეშება გარდუვალია, საქმე გვექნება დანაკარგებთან.

ფაბრიკაში 10 საათისათვის კორცხელის კოლმეურნეობის ორი მანქანაა შემოსული. მანქანას, რომელიც უტარო გადაზიდვისთვისაა გამიზნული მართავენ სოსო კვარაცხელია და შირიმი ქობალია.

პირველს №4 ბრიგადის, ხოლო მეორეს №8 და №9 ბრიგადების ნაკრეფი ნედლეული მოაქვს ფაბრიკაში. უხმაუროდ, დიდი დაკვირვებით ადევნებენ აქ თვალყურს აწონვას, ანალიზის აღებას და ყველა იმ პროცესს, რაც მიმდინარეობს მიმღებ პუნქტში, სადაც დაცულია ყველა საჭირო სანიტარული პირობები. აქვეა ფაბრიკის აგრონომი ჟორა კუკავა, რომელიც თავს ვერ იკავებს მძღოლების ქებით, რომლებიც თურმე იმ მძიმე დღეებშიც, როცა „პაკეტობია" ღამეებსაც კი უპრეტენზიოდ ათენებენ ფაბრიკის ეზოში.

აგრონომი, რომელიც დაინტერესებულია ნედლეულის ხარისხით აღნიშნავს, რომ კორცხელელებს ტრადიციად მოსდგამთ ხარისხიანი ნედლეულის დამზადება.

თითქოს ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ჭირს, როგორც იტყვიან დამალვა არ უყვარს და ჩვენც ამაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

ფაბრიკის ხელმძღვანელობამ სეზონის დაწყებამდე ასეთი შინაარსის შეტყობინება დაუგზავნა ჩამბარებელ ორგანიზაციებს:

— გასულ სეზონში ადგილი ჰქონდა ჩაის ფოთლის მიღებას შეუვსებელი, ან ზერელედ შევსებული სასაქონლო - სატრანსპორტო ზედდებულებით, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ბრიგადებში არ გააჩნიათ გაძარცული და შემოწმებული 0,5-1,0 და 10-15 ტონიანი სასწორები. ნედლეულს წონიან 20 კილოგრამიანი სასწორებით პირდაპირ ჩამბარებლებიდან, რასაც უნდა დიდი დრო. ხშირად ნედლეული რჩება მინდორში და საქმე გვაქვს დანაკარგებთან. ამასთან კოლმეურნეობებს არა აქვთ ერთიანი სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულების ფორმები იმის გამო, რომ არა აქვთ წესრიგში ფარდულები და არ გააჩნიათ ბრეზენტები მიწაზე დაყრილ ნედლეულს თან მოჰყვება სხვადასხვა მინარევები, რაც იწვევს დაბრკოლებებს მუშაობაში.

ეს ფაქტორი სამწუხაროდ დღესაც მოქმედებს. პუნქტში შეიძლება ნახოთ ხელით ნაკეთი, საკრეფი, (უფრო სწორად საჭრელი) ხის დანები, ქვები, მიწა და სხვა მინარევები, რომელიც ნედლეულს მოჰყვება.

ერთ დროს ყველა კოლმეურნეობას ჰქონდა ბოსლები პუნქტები, სადაც იყრებოდა, ირჩეოდა ნედლეული ხარისხის მიხედვით და ბარდებოდა ფაბრიკას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით გამო იგი გააუქმეს. ვინ როგორ და ფაბრიკის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ამით არაფერი მოუგია მრეწველობას, მეჩაიე მშრომელებს, პირიქით ამ შემთხვევაში ზიანდება ჩამბარებელი. მაღალი ხარისხისა და დაბალი ხარისხის ნედლეული ერთად იყრება მანქანებზე და ბარდება მრეწველობას.

არის სხვა საპრობლემო საკითხებიც, რომლის გადაწყვეტა ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ დღეს ყველა მეჩაიეს აქვს საშუალება (მაშინ, როდესაც გამორიცხულია გეგმები), კრიფონ ხარისხიანი ნედლეული, უამისოდ წააგებს ყველა მინდვრის მუშაკი, თუ მუშა.

დღეს მთავარია ხარისხი და მხოლოდ ხარისხი.

ხიძნელეთა დაძლევით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩაი, ჩვენი ქართული იყოს მაღალი მარკის და მას არ შეეშინდეს კონკურენტებისა საერთაშორისო არენაზე.

სიტყვა ეკუთვნით მწვანე მინდვრის ოსტატებს, ტრანსპორტელებს, მრეწველობის მუშაკებს.

ბ. აბულაძე.

# გაუტეხელი სულის ადამიანი

ჩვენი საუბარი ამჯერად გვანჯი ალექსის ძე ჩიქოვანს შეეხება. იგი 22 წლის წინათ გარდაიცვალა. იმათ, ვინც მას იცნობდა, ჩემი მოკლე მონათხრობი ვერ დააკმაყოფილებს, ხოლო ვინც არ იცნობდა და არ მოსწრებია — შეუქმნის მას ერთგვარ წარმოდგენას ამ ადამიანზე.

თავისი ცნობილი გვარეულობის სახელოვანი წარმომადგენელი გ. ჩიქოვანი 1872 წელს დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჰკადუაში. პირველდაწყებითი განათლება მან სოფ. კორცხელში მიიღო, სადაც გაძიძავებული იყო.

გვანჯი ჩიქოვანის ცხოვრების გზა ეკლიანი და მეტად რთული აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ცარიზმის მოხელეთა დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლ და ყაჩაღად გასულ თავისი ძიძის (გ. ემხვარის) მფარველობისათვის ციმბირში გადაასახლეს. აქ იგი ბატიმრობაში არ ყოფილა, მაგრამ აქედან გასვლის უფლებაც არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, შაინც გამოიქცა და სალომე დადიანის დახმარებით კვლავ მშვიდობიანად დაბრუნდა.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს გადასახლება არმიაში გაწვევით შეუცვალეს, მალე ოფიცრობაც მიიღო, ცხენოსანთა რაზმი ჩააბარეს და მანჯურიის ფრონტზე წარმატებასაც აღწევდა. და ჩინეთში შეღწეული ერთხანს იქ დარჩა.

ქ. ირკუტსკში იგი დაოჯახდა და შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა, მალე მან ჯერ ცხინვალში, მერე აჭარაში იგზავნიან სამხედრო კომისრად.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებმა გ. ჩიქოვანი აიძულეს სამხედრო სამსახური მიეტოვებინა და თავის სოფელში, ჰკადუაში დაბრუნებულიყო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი სამჯერ დააპატიმრეს (1924, 1937, 1942 წლებში).

გ. ჩიქოვანი, როგორც ყოფილი თავადი, კომისარი და გავლენიანი პიროვნება ეჭვის ქვეშ ჰყავდათ და სისტემატურ დევნას განიცდიდა. მის ოჯახსაც ავიწროებდნენ, შვილებს სკოლიდან რიცხავდნენ. მისმა შვილებმა რის ვაივაგლახით მოახერხეს საჭირო განათლება და სპეციალობა მიეღოთ. გვანჯის ვაჟიშვილები ჟორჟი და ევგენი თავიანთი შრომისმოყვარეობით პატივისცემას იმსახურებენ საზოგადოებაში.

მაინც რით იყო გვანჯი ჩიქოვანი საზოგადოებაში ცნობილი ადამიანი?

იგი გამორჩეული იყო არა მარტო თავისი გარეგნობით, ფიზიკური მონაცემებით, რომელიც თავისთავად ყველას ყურადღებას იპყრობდა. გვანჯი რომ ქალაქში გამოჩნდებოდა ეროვნულ ტანისამოსში ძვირფასად მოკაზმული ქამარხანჯლით, თავისი დახვეწილი მანერებით — აბა ვის შეეძლო ისე ჩაევლო და მისთვის კარგა ხანს არ ემზირა. განსაკუთრებით ორკეცდებოდა ეს იმ დროს, როცა იგი მის სახელოვან მეგობარ კაკა ქვანიასთან ერთად გაივლიდა.

ისინი ზუგდიდის კოლორიტული და მისი დამამშვენებელი პირები იყვნენ.

ყოველივე ეს ფაქტია, მაგრამ გვანჯი ჩიქოვანი განსაკუთრებით იყო ცნობილი თავისი მახვილგონიერებით, კაცთმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, შთამბეჭდავი აზრებით, ეროვნული თავმოყვარეობით. გვანჯისთან ადამიანები რჩევადარიგებისათვის მიდიოდნენ, მისი სიტყვა წონადი და დამაჯერებელი იყო.

ისეთ ცხოვრებისეულ შემთხვევებში, როგორიც ლხინის სუფრა და ბანკეტებია, გვანჯის წინამძღოლობა განუმეორებელი და სამაგალითო იყო. იგი დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა მის მონაწილეებს. გვანჯის თამადობით ამაყობდა მასპინძელი და სტუმარიც ნასიამოვნები რჩებოდა. თუ მოდავეთა საქმეში ჩარევდნენ იგი კეთილად მთავრდებოდა. ამგვარ და სხვა ცხოვრებისეულ საქმეებში გვანჯი ავტორიტეტი იყო.

გვანჯი ჩიქოვანს მაღალზნეობრივი თვისებები ჰქონდა. ცნობილი იყო მისი სულგრძელობა და მიმტევებლობა. ორ ფაქტს დავასახელებდი გვანჯის დიდსულოვნების აღსანიშნავად, რომლის მოწმე მეც გახლდით.

1942 წელს ასაკით 70-ს გადაცილებული გვანჯი ჩიქოვანს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას სამი ცრუ მოწმე დაუყენეს და ფაშისტ დამპყრობლებისადმი სიმპატიებში დასდეს ბრალი, რომლებიც უკვე ამიერკავკასიის მისადგომებთან იყვნენ მოსულნი.

რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის, რომ მას გულზე ეხატა არსებული ხელისუფლება, ვისგანაც იგი სისტემატურ დევნას განიცდიდა, მაგრამ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს აშკარად არასოდეს ამბობდა, ხოლო უცხო დამპყრობლებისადმი მისი სიმპატიები ცილისწამება აღმოჩნდა. სასჯელის მოხდის შემდეგ, რეპრესირებულთა საქმეების გადასინჯვის დრო რომ დადგა, იგი გაამართლეს და აქ გამოჩნდა მისი შესაშური სულგრძელობა.

ერთ-ერთ თავშეყრაზე, როცა მას ჰკითხეს — რა პასუხი გასცა ცილისმწამებლებს, მან თქვა: ცრუ მოწმეებმა ბოდიში მომიხადეს,— გვაიძულესო, სუკის მაშინდელმა ზუგდიდელმა მესვეურებმაც (ა. გაბელია და სხვა) პატიება მთხოვეს, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად მე მათ მივუტევეო. ყველას უკვირდა, რომ ასაკით ხანდაზმულ და განაწამებ გვანჯი ჩიქოვანს სულიერი წონასწორობა გაუტეხელი შერჩენოდა და ზნედაცემულ ადამიანებს ასე მოექცა.

30-იანი წლების დასასრულს დაისვა საკითხი ზუგდიდში აშენებულიყო ლაო ჩაის გადამამუშავებელი ქარხანა. მისი ადგილი შეირჩა იქ, სადაც ახლა ჩაის კომბინატია და მაშინ გვანჯი ჩიქოვანი სახლობდა, მის ვრცელ ეზოში იდგა მშვენიერი სახლი, ეზოს ამშვენებდა მაგნოლიები და სხვა დეკორატიული მცენარეები, ხეხილის ბაღები, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მან დათმო ყოველივე ეს და სხვაგან გადასახლდა (მე, განათლების სისტემის მომუშავე, შემთხვევით შევხვდი ამ ამაღლებული ზნეობის ადამიანის ვაჟკაცურ თანხმობას).

გვანჯი ჩიქოვანის კაცურკაცობის დასახასიათებლად ისიც საკმარისია, რომ ჩვენი სასიქადულო მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ზუგდიდში ჩამოსვლისას ყოველთვის მოიკითხავდა და ხვდებოდა ამ გონიერ კაცს. ხალხთან სიახლოვე, მის რჩეულებთან შეხვედრები ძვირფას მასალას აძლევდა მხატვრული სიტყვის დიდოსტატს თავის ნაწარმოებთა პერსონაჟებისათვის. ასევე მას იცნობდნენ შალვა დადიანი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

დასანანია, რომ ჩვენი მუზეუმის წინა ხელმძღვანელობამ რატომღაც ვერ გაითვალისწინა რომ გვანჯ ჩიქოვანს დაეწერა მოგონებები თავისი ცხოვრებიდან და მუზეუმის მემუარულ განყოფილებას გადასცემოდა (მუზეუმს მისგან უსასყიდლოდ გადაცემული ძვირფასი, უნიკალური ხმალი გააჩნია).

გვანჯი ჩიქოვანი ის ადამიანია, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

მამანტი პაჭკორია,
ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

# როდემდე გაგრძელდება ასე?!

ამა წლის მარტის თვეში შინაგან საქმეთა ორგანოებისა და „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ერთობლივი რეიდის შედეგად ქალაქისა და რაიონის სავაჭრო სისტემის 15 ობიექტში გამოვლინდა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები (საქონლის გადამალვა, ფასდამახინჯება, ფასგამოუცხადებლობა), რის გამოც 13 ადამიანი მიცემულ იქნა პასუხისგებაში და ზოგიერთი მათგანი გასამართლებულია.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თითქმის ყველა სავაჭრო ობიექტში სრული განუკითხაობა და უწესრიგობა სუფევს და ამას ინერტულად შესცქერიან მათი ხელმძღვანელი მუშაკები. ასეთი ვითარების ფონზე სრულიად ბუნებრივია ზუგდიდის მოსახლეობის შეშფოთება და გულისწყრომა, სამართლიანი მოთხოვნა აღიკვეთოს და ბოლოს დაბოლოს წერტილი დაესვას ვაჭრობის სისტემის მუშაკთა თავვასულობას, განუკითხაობას ამ სფეროში.

ფაქტები, რომელსაც ქვემოთ გაგაცნობთ, შეგვატყობინეს შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან და ისინი მხოლოდ ერთ დღეში 14 მაისსაა დაფიქსირებული.

ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს (უფროსი ა. დიდიშვილი) №43 ელექტროსაქონლის მაღაზიაში (გამგე ლ. ახალაია, გამყიდველი ზ. კუხალეიშვილი) გადამალული ჰქონდათ 2 ცალი 238 მანეთის ღირებულების ბრა, 5 ცალი ვენახისა და ხეხილის შესაწამლავი აპარატი, ასევე ფასი არ იყო გამოცხადებული ქილის ხუფებზე. №9 სასურსათო მაღაზიის (გამგე ი. ბერიძე) წყლის სექციის გამყიდველს ქ. აქუბარდიას, სასურსათო სექციის მოლარე-გამყიდველს თ. ნანიკაშვილს მინერალურ წყალ „სკურსა“ და 3 მანეთად და 80 კაპიკად ღირებულ დაკონსერვებულ კამფეტ „დათუნიაზე“ ფასი არ ჰქონდათ გამოცხადებული. ანალოგიური დარღვევა დაუშვა სავაჭრო ცენტრ „თუთარჩელას“ (დირექტორი ვ. თოფურია) დამტარი ტახტის გამყიდველმა თ. ქიშმარიამ, №26 გასტრონომიული მაღაზიის (დირექტორი ი. მესხი) რძის სექციის გამყიდველმა დ. თოდუამ, №3 მაღაზიის კოოპერატიული სექციის გამყიდველმა ა. ხაჟომიამ.

ფასგამოუცხადებლობის უხეში ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე „საქსამშენმასალების“ ვაჭრობის (დირექტორი გ. გაბედავა) №95 მაღაზიაში (გამგე ქ. ბუკია, გამყიდველი მ. ზარანდია), რაიკოოპკავშირის (თავმჯდომარე ლ. ქირია) გაერთიანება „საქსოფლკოოპმრეწვაჭრობის“ (უფროსი მ. გვილია) თამარ-მეფის ქუჩაზე მდებარე მაღაზიაში (გამყიდველი ვ. ჰკადუა), ნარაზენის მომხმარებელთა საზოგადოების სალომაიოს უბნის, კოოპერატივ „ვეტერანის“ (თავმჯდომარე შ. ლემონჯავა), საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე სასურსათო, ქალაქის კოოპვაჭრობის (უფროსი გ. ჯანაშია) №18 მაღაზიებში (გამყიდველები ნ. თამლიანი, ნ. ხოჭოლავა, ჯ. ბერდეხელია).

საკითხავია, როდემდე გაგრძელდება ასე?!

**„მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლებისა და შინაგან საქმეთა საქალაქო რაიონული განყოფილების ერთობლივი საინიციო ჯგუფი.**



# ფრე: როგორ?!

**ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი. 7000 მაყურებელი.**

**„ოდიში“:** **ჟანტურია, კვიტატიანი, ნამყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, კვარაცხელია (ტიბუა), მალანია, შეროზია, გიგვავა, ყიზილაშვილი, თევზაძე (გოგოხია).**

**„გურია“:** **ქანთარია, ტყებუჩავა, ჩხაიძე (გუჯაბიძე), დანელია, კაბესაშვილი, ცომაია, მიქაბერიძე (კვინტრაძე), აფციაური, კორძალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.**

**მთავარი მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი), მსაჯები: რ. ჩიქოვანი, ა. პრავოვი (გაგრა).**

ეროვნული პირველობის ლიდერთა კვარტეტის ორი წარმომადგენლის შეხვედრამ ზუგდიდში დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაში ორმხრივი იერიშით დაიწყო, სამაოდ მაღალ ტემპში. უკვე მე-6 წუთზე ლანჩხუთელთა ცენტრფორვარდმა კორძალიძემ 20 მეტრიდან ძლიერად დაარტყა დაბალ კუთხეში —იმარჯვა მეკარე ჟანტურიამ, ხოლო მე 12 წუთზე ფრიდონაშვილის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ოდნავ ასცდა კარის ზედა ძელს. სტუმართა შეტევას მასპინძლებმაც უპასუხეს, 22-24 მეტრიდან ჯერ ჯავაშვილის, შემდეგ შეროზიას სახიფათო დარტყმები უვნებელყო მეკარე ქანთარიამ. ასე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში, როდესაც 25-ე წუთზე ყიზილაშვილმა, მიიღო რა მოედნის შუაგულში ზუსტი გადაცემა, სისწრაფეში მო[illegible] პირისპირ გავიდა და მეკარესთან და ზუსტად დაარტყა —1:0. ამ შემთხვევაში უხეში შეცდომა დაუშვეს ლანჩხუთელთა ცენტრალურმა მცველებმა, რომლებიც განლაგდნენ „ერთ ხაზზე“. მოგვიანებით, ლანჩხუთელთა ცენტრალურმა მცველებმა კვლავ გაიმეორეს მსგავსი შეცდომა, მაგრამ ამჯერად უშედეგოდ.

პირველ ტაიმში მასპინძლები აშკარად სჯობნიდნენ სტუმრებს.

მეორე ტაიმი დაიწყო „გურიას“ ხანგრძლივი და მწვავე შეტევებით. 58-ე წუთზე ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს მარჯვენა ფრთიდან. ტყებუჩავას ძლიერი დარტყმა—ბურთი ხვდება კარის ზედა ძელს, არეკლილ ბურთს ოდნავ ვერ მიუსწრო ფეხით ფრიდონაშვილმა, მაგრამ ეს მოასწრო ხელით. მატჩის მთავარმა არბიტრმა სილაგავამაც „ვერ“ შეამჩნია ლანჩხუთელის ხელით თამაში და ... ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დააფიქსირა კარის აღება—1:1. სამწუხაროდ, ამით მთავარი მსაჯის შეცდომების სერია არ ამოწურულა: მან ისევ „ვერ“ შეამჩნია სტუმართა მცველის ხელით თამაში საკუთარ საჯარიმოზე.

ზუგდიდელები თავგამოდებით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, მაგრამ ამაოდ. თამაში ფრედ, 1:1 დამთავრდა.

**რ. გაბისონია.**

---

1991 წლის 25 მაისს ზედაეწერის სტადიონზე საქართველოს პირველობაზე ზუგდიდის „შევარდენი“ უმასპინძლებს გულრიფშის ფეხბურთელთა გუნდს.

დასაწყისი 17 საათზე.

**ზუგდიდის ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რაიონული საბჭო.**

---

**ზუგდიდის ეროვნული, ექსპერიმენტულ - პროფილირებული სკოლა აცხადებს** მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ პროფილზე.

მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით, რომელიც ჩატარდება 10 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით— შემდეგ საგნებში:

**ფიზიკა-მათემატიკის პროფილზე:** მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), გეომეტრია (გასაუბრება).

**ჰუმანიტარულ პროფილზე:** მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).

**საბუნებისმეტყველო პროფილზე:** ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (გასაუბრება).

მე-10 კლასის მოსწავლეებს მოეთხოვებათ ძირითადად მე-9 კლასის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ცოდნა, მე-11 კლასელებს კი მეცხრე, მეათე კლასის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ცოდნა.

ცალკეულ პროფილებზე მიმღები საგამოცდო კომისიის შემადგენლობა.

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, სკოლის დირექტორი გ. პაპავა.

საგამოცდო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ნ. ქირია.**

კომისიის წევრები: ფიზიკა-მათემატიკის პროფილზე: **გ. ბელქანია, პ. ჯანჯღავა, გ. პაპავა, რ. ლოგუა, თ. ახალაია, ზ. ბეჟვაია.**

საბუნებისმეტყველო პროფილზე: ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **გ. ესართია, ც. კვიკვინია, მ. ქობალია.**

**ჰუმანიტარულ** პროფილზე: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ჯ. ნაყოფია, ზ. კუპრეიშვილი, გ. ესართია, მ. თოდუა, ნ. ქირია, ზ. სარია, ლ. იზორია.**

განცხადებები მიიღება 8 ივნისამდე ყოველდღე 9 საათიდან 16 საათამდე. გამოსასვლელი დღე კვირა. მისამართი: **მერაბ კოსტავას ქუჩა 60.**

**ზუგდიდის ეროვნული სკოლა**

---

№3 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი იუწყება, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა უბნის უფროსი, ინჟინერი **ნუკრი აკაკის ძე შამუგია** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ახლობლებს.

---

მეუღლე ბაბუცა, შვილები გურამი. ონერი. ლადო. ძმა არისტრახო. დები: ქენია. ქუქუნა, სიძეები: დავით ქირია, ვალოდია ქუკავა. რძლები ვალია. ძაბული. ასმათი. ციცინო. ნათელა. შვილიშვილები: ასმათი, თამარი. ნინო. გიორგი. გვანცა. დისშვილები: ლუარა ქირია. დალი, ზურაბ ქუკავები, ძმისშვილები: თორნიკე. ნათელა, ნონა, შორენა. მარინა. გიორგი რამაზ ლოგუები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლუდვიგ დომენტის ძე ლოგუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 მაისს. დაკრძალვა 26 მაისს სოფელ კახათში.

---

მეუღლე თინიკო. შვილები ქეთინო. თორნიკე, თემური. პატიკო, და ნაირა. სიძეები: ალიოშა დარასელია. გოგი რაფავა, თამაზ ნაჭყებია. ნიკა ლალაძე. შვილიშვილები დათა. გიგა. გოგა რაფავები. დისშვილები: დალი. ლალი. დათო დარასელიები. ბიძაშვილები. დეიდაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ხუტა ლეონტის ძე აჩთიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24. 25. 26 მაისს. დაკრძალვა 28 მაისს სოფ. ჭკადუაში.

---

შვილები: დალილა. ჯუგუ ფარჯიკიები. და ნინო როგავა. შვილიშვილები: ბაადურ. ზაზა. ლევანი, ჯუმბერი ფარჯიკიები. თინათინ. კახა საყვარელიძეები, შვილიშვილისშვილი ირაკლი. რძლები: ლაურა ლაგვილავა. ნანა ფიფია. სიძეები ქუკური საყვარელიძე. ივანე შოლკა. ბიძაშვილები: დონი. ქუკური როგავები. ძმისშვილები: აზო. მერი. ნანული როგავები. დისშვილები ჰუტა. ზაჩანა. ლონდა. ლუარა ახალაიები. ლილი. ზურაბი შოლკაები. ვენერა, ციცო. ლათიკო. გივი შეროზიები, მულისშვილები, მაზლისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიდა ანდრიას ასული როგავა-ფარჯიკია.**

პანაშვიდი 25. 26 მაისს. დაკრძალვა 28 მაისს 5 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, კომკავშირის ქ. 33

---

დედა ანტისა, სიდედრი თამარა ქობალია. შვილები: ანგელინა, თემური, და თინა. ძმები: აპოლონი, ვახტანგ, ტიტო. სიძეები ბებულ ქაჯაია, ენვერ მებონია, რძლები: ციალა ქირია, ნაზო კვარაცხელია, დიანა გოგია, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დემურ პლატონის ძე სამუშია.**

პანაშვიდი 23, 24 მაისს. დაკრძალვა 25 მაისს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ნ. ნიკოლაძის 59, დაკრძალვა სოფ. ლიაში.

---

შვილები: ციალა. ჯუანშერ. რაფიელ ქირიები. სიძეები შოთა სარია. თამაზ ბიჭია, ელგუჯა ყალიჩავა. რძლები ბაბუცა მამფორია. ცინარა კაკულია, ლილი კიკაბიძე. მაია ალასანია. შვილიშვილები: ინეზა. შორენა, მადონა. ბესიკ ქირიები. ზეინაბ, თენგიზ. ნუგზარ სარიები. ბადიშები. დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან

**ლენა ფარნას ასულ ჟორდანია-ქირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25. 26, 27 მაისს. დაკრძალვა 28 მაისს ქ. ზუგდიდი. გამოსვენება ლაზის (კომკავშირი) ქ. 87-დან 18 საათზე.

---

ბიძია დათიკო სორდია, ბიცოლა ლამარა, ბიძაშვილები: ეკა. ემა, ირმა, გია სორდიები, სიძეები: დათო ბარათელი, ნუგზარ ტაბაღუა იუწყებიან

**ჯემალ (ჯენერი) მიშას ძე მამფორიას**

გარდაცვალებას.

---

შვილები ლუბური, ჟორჟი, შალიკო. ხუხა. ლილიკო უბილავები. რძლები: ძაბული. თალიკო, შვილიშვილები: ზოია. თამარი. ლირა, ენური, დემური, ზურაბი, მურთაზი უბილავები, მიმოზა, ნუგზარ, ბიჟანა, შარდენ ქირიები, კობა მამფორია, გურამი ლაგვილავა, ლენტუშა. ლუნა. გივი. იგორი, ვალერი, გურამი გულუები. დისშვილები ჯოჯო, ვალიკო სორდიები, ძმისშვილები: ქუქური, ნათელა ნანავები, მაზლიშვილები, მულიშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**თამარა ფარნას ასულ ნანავა-უბილავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25 მაისს. დაკრძალვა 26 მაისს სოფ. ოქტომბერში.

---

შვილები: ჯემალი. შოთა, ძმა თემური, და ქეთინო, ბიძები შოთა, ჟორჟი შამუგიები, შოთა საჯაია. მამიდები: ვენერა, ბაბუცა. ბიცოლა ავრა. რძალი ინგა მოსია, ძმისშვილები ვერიკო. აკაკი. დისშვილები: თამუნა, იკა კაკულიები, ბიძაშვილი გოგი შამუგია, მამიდაშვილები შალვა, ბადრი. ელვირა, ჟუნა. დარეჯანი. დოდო. დალი როგავები, რევაზი. მერაბი. თემური საჯაიები, შათიკო, რევაზი. გულნაზი, მზია ესართიები, ანატოლ, რაიკო ბუავები. ხუნტული, მაგული, ლულუ ზაქარაიები, ლელა ვართაგავა, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნუკრი კაკოს ძე შამუგიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25, 26 მაისს. დაკრძალვა 28 მაისს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება მაცხოვრისკარის (როგავას) ქუჩა №15-დან.

---

**რედაქტორი აკ. ჟანტურია.**

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21-78, მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2-47-09.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტ[illegible] ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი 8000 შეკ. №2084